



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

სარჩევი

დასკვნა.....	5
1.რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	8
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	11
3. არაფინანსური აქტივების კლება.....	15
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი.....	16
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	17
6. ასიგნებები	19

**დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადდა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ წარმოადგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი და ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველად ვარიანტზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების დოკუმენტი (შემდგომში – დოკუმენტი). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი, კერძოდ:

- 2019 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია და ნაშთის გამოყენება 34,711.0 ათასი ლარიდან გაიზარდა 44,698.0 ათას ლარამდე, რაც ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 9,987. 0 ათასი ლარით მეტია;
- პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და „ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში (კოდი: 05 13 14) განსაზღვრულია გამოცემებისა და ღონისძიებების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ბიუჯეტის კანონპროექტით, პირველად ვარიანტთან შედარებით, ჯამში 9,927.0 ათასი ლარით იზრდება გადასახდელები, რაც შესაძლებელი გახდა ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით თავისუფალი ნაშთის 9,987.0 ათასი ლარით შემცირებით.

ცხრილი N1. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მაჩვენებლები (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი I წარდგენა	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი II წარდგენა	სხვაობა
შემოსულობები	279,346.0	279,346.0	
შემოსავლები	263,496.0	263,496.0	
არაფინანსური აქტივების კლება	15,850.0	15,850.0	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)			
გადასახდელები	314,117.0	324,044.0	9,927.0
ხარჯები	166,254.5	240,904.5	74,650.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	77,522.1	81,000.4	3,478.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) ¹	68,201.4		-68,201.4
ვალდებულების ზრდა	2,139.1	2,139.1	
ნაშთის ცვლილება	34,711.0	44,698.0	9,987.0

¹ საბიუჯეტო კლასიფიკაციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ხარჯები გადატანილია „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კვლავ აქტუალურია საკითხი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას. ამასთანავე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საბიუჯეტო პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულ იქნეს:

- 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესაბამისად, დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მხოლოდ 44,698.0 ათასი ლარით შემცირება, რაც 9,987.0 ათასი ლარით მეტია კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 11 თვის ფაქტობრივი და დეკემბრის საპროგნოზო შემოსულობების, გადასახდელების, განუხორციელებელი პროგრამებისა და კომერციული ბანკის ანგარიშზე მიმდინარე წლის პერიოდზე მუდმივად არსებული თავისუფალი ნაშთის ანალიზით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 2018 წელს გამოუყენებელი ნაშთი დარჩება 55,000.0 ათასი ლარის ფარგლებში. 2018 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 108,143.2 ათას ლარს, რომლის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური წინა პერიოდშიც აღნიშნავდა. თუმცა, გაცემული რეკომენდაციები სამწუხაროდ არ იქნა გათვალისწინებული და 2018 წლის 1 დეკემბრისათვის ნაშთმა შეადგინა 93,562.2 ათასი ლარი. ამასთანავე საყურადღებოა, რომ 2017 წლის სრულ და მიმდინარე წლის 11 თვის პერიოდზე ფაქტობრივად თავისუფალი ნაშთი ძირითადად იყო 100,000.0 ათას ლარზე მეტი², რაც რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვასა და ამ მიმართებით არსებული რეზერვების არაეფექტიან გამოყენებზე მიუთითებს. ამასთანავე, 2018 წლის ბოლოსათვის გამოუყენებელი ნაშთის გათვალისწინებით და იმ პირობებში, თუ 2019 წელსაც სრულყოფილად არ განხორციელდება დაგეგმილი ღონისძიებები, როგორც ბოლო წლების პრაქტიკა აჩვენებს, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 2019 წლის ბოლოს გამოუყენებელი ნაშთი კვლავ მოცულობითი დარჩება.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ერთობლივი ძალისხმევით გატარებულ იქნას ქმედითი და დროული ღონისძიებები, რათა 2019 წლის ბიუჯეტი დაიგეგმოს საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, სადაც

² წლიური საპროგნოზო განაკვეთი შეადგენს 8,5 პროცენტს.

გათვალისწინებული იქნება წინა წლების საგეგმო და ფაქტობრივი მაჩვენებლები. ამასთანავე, არსებული რეზერვების ეფექტიანი გამოყენებით, უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება და დაფინანსება.

- 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 279,346.0 ათას ლარს, რაც 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 4.4%-ით, 11,679.6 ათასი ლარით აღემატება. წარმოდგენილ გადამუშავებულ პროექტში არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რაც ეყრდნობოდა ბოლო წლებში რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და საშემოსავლო გადასახადის ზრდის ტენდენციასა და საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძვლიან ანალიზს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებლობა ბიუჯეტის კონსერვატიულ დაგეგმვაზე მიუთითებს და დამატებით განმარტებას საჭიროებს. კერძოდ, შემოსულობების ძირითად წყაროს საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2019 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით – 255,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 30,000.0 ათასი ლარით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა წარმოდგენილ კანონის პროექტში საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა, მხოლოდ 2018 წლის მოსალოდნელ შესრულებას, რომელიც 245,000.0 ათასი ლარის ფარგლებში იქნება და საბიუჯეტო კოდექსში ინიცირებული ცვლილებებით – დამატებით, 10,000.0 ათასი ლარის შემოსავალს ეყრდნობა. ასევე იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ იცვლება ეკონომიკური გარემო და სხვა განმსაზღვრელი ფაქტორები, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით სხვა შემოსავლების პარამეტრი განსაზღვრულია 8,496.0 ათასი ლარით, რაც 4,319.8 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის 11 თვეში სხვა შემოსავლების საკასო შესრულებაზე (12,815.8 ათასი ლარი). მათ შორის, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, დივიდენდების 2019 წლის გეგმური მაჩვენებელი, 2018 წლის გეგმასთან მიმართებით, 2,500.0 ათასი ლარით მცირდება იმ პირობებში, როდესაც საწარმოების საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა 2018 წელს არსებითად არ შეცვლილა.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციად რჩება, რომ 2019 წლის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები დაიგეგმოს რეგიონის ეკონომიკური განვითარების³ და ფაქტობრივი შემოსავლების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, თითოეული კომპონენტის სახით მისაღები შემოსავლების ცვლილება სათანადოდ იყოს დასაბუთებული, ყურადღება გამახვილდეს

³ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, ქვეყნის მასშტაბით, 2019 წლისათვის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი განსაზღვრულია 4.5%-ის ოდენობით.

არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტში მეტი რესურსის მობილიზებას და მომხმარებელთა ფართო წრის მოთხოვნების განხორციელებას.

- სესხის სახით გამოყოფილი სახსრების ათვისებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციები არ შესრულებულა და საკითხი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. კერძოდ, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის ათვისებელ ნაწილზე (2,970.0 ათასი ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, ათვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. აღნიშნული სესხის ფარგლებში 2010-2018 წლებში ჯამურად გაწეულია 172.4 ათასი ევროს ხარჯი⁴, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსებიდან თანხები არ მიმართულა.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და არაეფექტიანი ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ პროექტის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, ხელი შეუწყონ მოზიდული რესურსების დროულ და ეფექტიან გამოყენებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში წარმოდგენილი შენიშვნებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, 2019 წლის შემოსავლები 263,496.0 ათასი ლარით, ხარჯები 240,904.5 ათასი ლარით,

⁴ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს – 30.0 ათასი ევრო, პროცენტის ხარჯს – 3.1 ათასი ევრო, ვალდებულების გადასახადს – 126.8 ათასი ევრო და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას – 12.5 ათასი ევრო, პირგასამტეხლო – 0.031 ევრო.

ხოლო არაფინანსური აქტივების ცვლილება 65,150.4 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის მთლიანი უარყოფითი სალდო 2019 წლისთვის 42,558.9 ათას ლარს შეადგენს.


ცხრილი N2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	ზრდა-კლება 2018- 2019 წწ.
შემოსავლები	240,182.6	263,496.0	23,313.4
ხარჯები	196,247.2	240,904.5	44,657.3
საოპერაციო სალდო	43,935.4	22,591.5	-21,343.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	75,712.1	65,150.4	-10,561.7
მთლიანი სალდო	-31,776.8	-42,558.9	-10,782.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-33,837.5	-44,698.0	-10,860.5
ვალდებულებების ცვლილება	-2,060.7	-2,139.1	-78.4
ბალანსი			
ნაშთის ცვლილება	-107,855.1	-44,698.0	
წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი			108,143.2
ნაშთი 2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით			93,562.2

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესაბამისად, დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მხოლოდ 44,698.0 ათასი ლარით შემცირება, რაც 9,987.0 ათასი ლარით მეტია კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 11 თვის ფაქტობრივი და დეკემბრის თვის საპროგნოზო შემოსულობების, გადასახდელების, განუხორციელებელი პროგრამებისა და კომერციული ბანკის ანგარიშზე 2017 წლის სრულ და მიმდინარე წლის 11 თვის პერიოდზე მუდმივად არსებული თავისუფალი ნაშთის ანალიზით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 2018 წელს გამოუყენებელი ნაშთი დარჩება 55,000.0 ათასი ლარის ფარგლებში. კერძოდ: 2018 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 108,143.2 ათას ლარს, ამასთანავე, 2018 წლის 11 თვის შემოსულობებმა შეადგინა 262,477.4 ათასი ლარი, გადასახდელებმა – 277,058.4 ათასი ლარი, რის შედეგად 2018 წლის 1 დეკემბრისათვის ნაშთი დარჩა 93,562.2 ათასი ლარი. აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ 2018 წლის დეკემბერში შემოსულობების პროგნოზი იქნება 29,000.0 ათასი ლარის, ხოლო გადასახდელები – 98,463.0 ათასი ლარის ფარგლებში, რაც მოიცავს 31,000.0 ათასი ლარის იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ღონისძიებებს, რომლებიც მოპოვებული ინფორმაციით, 2018 წელს, სავარაუდოდ, ვერ იქნება განხორციელებული ან დასრულებული (მაგალითად, მიმდინარე წელს, სავარაუდოდ, ვერ განხორციელდება ჭოროხის გზის და კურორტ გოდერძიზე შიდა გზების მოწყობა/რეაბილიტაცია – 5,259.0 ათასი ლარი, ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა – 2,000.0 ათასი ლარი, ბათუმში ქუჩების რეაბილიტაცია – 2,000.0 ლარი, წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია – 1,372.7 ათასი ლარი, ფიზიკური პირებისათვის გასაცემი მიწის

კომპენსაცია – 1,187.0 ათასი ლარი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება – 1,000.0 ათასი ლარი, სოციალური სახლის მშენებლობა – 800.0 ათასი ლარი, ძეგლების რეაბილიტაცია – 781.0 ათასი ლარი და სხვ.) შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის ბოლოს გამოუყენებელი ნაშთი დარჩება 55,000.0 ათასი ლარის ფარგლებში. აქვე საყურადღებოა, რომ 2017 წლის სრულ და მიმდინარე წლის 11 თვის პერიოდზე თავისუფალი ნაშთი ძირითადად იყო 100,000.0 ათას ლარზე მეტი. ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროსაც, თუმცა გაცემული რეკომენდაციები სამწუხაროდ არ იქნა გათვალისწინებული და საკითხი კვლავ აქტუალურ პრობლემად დარჩა.

დიაგრამა N1. 2017-2018 წლებში თვეების მიხედვით არსებული ნაშთი (ათასი ლარი)



ზემოაღნიშნულ დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ ყოველთვიურად არსებობს მოცულობითი ნაშთი, რაც რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვასა და ამ მიმართებით არსებული რეზერვების არაეფექტიან გამოყენებზე მიუთითებს. ამასთანავე, 2018 წლის ბოლოსათვის გამოუყენებელი ნაშთის გათვალისწინებით და იმ პირობებში, თუ 2019 წელსაც სრულყოფილად არ განხორციელდება დაგეგმილი ღონისძიებები, როგორც ბოლო წლების პრაქტიკა აჩვენებს, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 2019 წლის ბოლოს გამოუყენებელი ნაშთი კვლავ მოცულობითი დარჩება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ერთობლივი ძალისხმევით გატარებულ იქნეს ქმედითი და დროული ღონისძიებები, რათა 2019 წლის ბიუჯეტი დაიგეგმოს საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, სადაც

გათვალისწინებული იქნება წინა წლების საგეგმო და ფაქტობრივი მაჩვენებლები. ამასთანავე, არსებული რეზერვების ეფექტიანი გამოყენებით, უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება და დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს ავტონომიურ რესპუბლიკაში საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 279,346.0 ათას ლარს, რაც 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 4.4%-ით, 11,679.6 ათასი ლარით აღემატება. შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება შემოსავლების კომპონენტები, რომელიც 23,313.4 ათასი ლარით, ანუ 9.7%-ით იზრდება, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი – 11,633.8 ათასი ლარით, ანუ 42.3%-ით მცირდება. რაც შეეხება ფინანსური აქტივების კლებასა და ვალდებულების ზრდას, შემოსულობების აღნიშნულ კომპონენტებში 2019 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის.

ცხრილი N3. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი 11 თვე	2018 წლის შესრულება (%)	2019 წლის გეგმა	2018-2019 წლების ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	240,182.6	236,988.4	98.7	263,496.0	9.7
არაფინანსური აქტივების კლება	27,483.8	25,489.0	92.7	15,850.0	-42.3
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)					
ვალდებულებების ზრდა					
სულ შემოსულობები:	267,666.4	262,477.4	95.7	279,346.0	4.4

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზის განსაზღვრაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ბოლო წლებში რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და გასულ წელს გადასახადის ზრდის ტენდენცია, რაც კონსერვატიულ დაგეგმვაზე მიუთითებს და დამატებით განმარტებას საჭიროებს, კერძოდ:

შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების ძირითად წყაროს საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით – 255,000.0

ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 30,000.0 ათასი ლარით, ანუ 13.3%-ით აღემატება 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს.


ცხრილი N4. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი 11 თვე	2018 წლის შესრულება (%)	2019 წლის გეგმა	2018-2019 წლების ზრდა/კლება (%)
გადასახადები	225,000.0	224,172.5	99.6	255,000.0	13.3
სხვა შემოსავლები	15,182.6	12,815.8	84.4	8,496.0	-44
გრანტები					
სულ შემოსავლები:	240,182.6	236,988.3	98.7	263,496.0	9.7

წარმოდგენილ გადამუშავებულ პროექტში არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის პესიმისტურ დაგეგმვასთან დაკავშირებით, რაც ეყრდნობოდა ბოლო წლებში რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და საშემოსავლო გადასახადის ზრდის ტენდენციასა და საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძვლიან ანალიზს. კერძოდ, 2017 წელს საშემოსავლო გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 222,876.4 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის 11 თვეში, წლიური გეგმით გათვალისწინებული 225,000.0 ათასი ლარიდან, უკვე შემოსულია 224,172.6 ათასი ლარი, დეკემბრის თვის მოსალოდნელი შემოსავალი კი იქნება არანაკლებ 20,600.0 ლარისა. ამასთანავე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ინიცირებული ცვლილებებით, 2019 წლიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ის ნაწილი, რომელიც მანამდე ირიცხებოდა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, მიმართული იქნება რესპუბლიკურ ბიუჯეტში 10,000.0 ათასი ლარის ფარგლებში.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წელს საშემოსავლო გადასახადის მოსალოდნელი შესრულება იქნება 245,000.0 ათასი ლარი, ასევე საბიუჯეტო კოდექსში ინიცირებული ცვლილებების შედეგად, 2019 წლიდან დამატებით რესპუბლიკურ ბიუჯეტში მიიმართება 10,000.0 ათასი ლარი, შესაძლებელია ითქვას, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში საშემოსავლო გადასახადის პარამეტრის 255,000.0 ათასი ლარის მოცულობით განსაზღვრა, განხორციელებულია მხოლოდ 2018 წლის გეგმურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით და გათვალისწინებული არ არის მიმდინარე წლის ფაქტობრივი მაჩვენებლები, რაც ბიუჯეტის კონსერვატიულად დაგეგმვაზე მიუთითებს და წარმოშობს 2019 წლის ბოლოს თავისუფალი ნაშთის ზრდის რისკებს.

დიაგრამა N2. 2015-2018 წლების საშემოსავლო გადასახადის დინამიკა (ათასი ლარი)



სხვა შემოსავლები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 8,496.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 6,686.6 ათასი ლარით (44%-ით) ნაკლებია 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე.


ცხრილი N5. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი 11 თვე	2018 წლის შესრულება (%)	2019 წლის გეგმა	2018-2019 წლების ზრდა/კლება (%)
141	შემოსავლები საკუთრებიდან	14,427.5	11,588.0	80.3	7,896.4	-45.3
1411	პროცენტები	10,000.0	9,911.9	99.1	5,525.0	-44.8
1412	დივიდენდები	3,500.0	991.9	28.3	1,000.0	-71.4
1415	რენტა	927.5	684.2	73.8	1,371.4	47.9
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	422.5	583.1	138.0	419.6	-0.7
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები		9.4			
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	422.5	573.7	135.8	419.6	-0.7
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	422.5	573.7	135.8	419.6	-0.7
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	100.0	129.5	129.5	100.0	
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	232.6	515.2	221.5	80.0	-65.6
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	232.6	515.2	221.5	80.0	-65.6
სულ სხვა შემოსავლები:		15,182.6	12,815.9	84.4	8,496.0	-44

2018 წლის 11 თვის მდგომარეობით, სხვა შემოსავლების ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 12,815.9 ათას ლარს, რაც 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელზე 4,319.9 ათასი ლარით მეტია. ამასთანავე, 2019 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული

მოსაკრებლებისა და გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი, თუმცა 2018 წლის 11 თვეში აღნიშნული მუხლით მიღებულია 9.4 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი. გარდა აღნიშნულისა, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირებულია 65.6%-ით⁵ იმ პირობებში, როდესაც 2018 წლის 11 თვის მდგომარეობით აღნიშნულ კომპონენტში წლიური გეგმის შესრულება 221.5%-ია (2018 წლის 11 თვის შესრულების მაჩვენებელი 6.4-ჯერ აღემატება 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს).


დიაგრამა N3. 2015-2019 წლების სხვა შემოსავლების დინამიკა (ათასი ლარი)



დივიდენდები

ბიუჯეტის კანონის პროექტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მისაღები დივიდენდების გეგმური მაჩვენებელი 1,000.0 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 2,500.0 ათასი ლარით ნაკლებია.

დიაგრამა N4. 2013-2019 წლების დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)



⁵ 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულია 232.6 ათასი ლარი, 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 80.0 ათასი ლარი.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2013 – 2018 წლებში საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტის მიხედვით, 2019 წლის გეგმური მაჩვენებელი, 2018 წლის გეგმასთან მიმართებით, 2,500.0 ათასი ლარით მცირდება, მაშინ როდესაც, 2018 წლის 11 თვეში ფაქტობრივად მიღებული შემოსავალი შეადგენს 991.9 ათას ლარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 31 საწარმოდან, 2018 წლის 11 თვეში დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს, საიდანაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 81.8%-ს შეადგენს. იმ პირობებში, როდესაც შპს „სავაჭრო ცენტრი 2009-ს“ 2017 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში დივიდენდის სახით გადახდილი აქვს 2,609.0 ათასი ლარი, ხოლო კომპანიის საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა 2018 წელს არსებითად არ შეცვლილა, აღნიშნული საწარმოდან მისაღები სხვა შემოსავლების ბიუჯეტში გაუთვალისწინებლობის საკითხი, საჭიროებს დასაბუთებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციად რჩება, რომ 2019 წლის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები დაიგეგმოს რეგიონის ეკონომიკური განვითარების და ფაქტობრივი შემოსავლების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, თითოეული კომპონენტის სახით მისაღები შემოსავლების ცვლილება სათანადოდ იყოს დასაბუთებული, ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოს ბიუჯეტში მეტი რესურსის მობილიზებას და მომხმარებელთა ფართო წრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

3. არაფინანსური აქტივების კლება

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობის გეგმური მაჩვენებელი 15,850.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, მათ შორის, ძირითადი აქტივები – 2,701.0 ათასი ლარით, მატერიალური მარაგები – 850.0 ათასი ლარით და არაწარმოებლური აქტივები – 12,299.0 ათასი ლარით, რაც 11,633.8 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელზე და 9,639.0 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის 11 თვის ფაქტობრივ შესრულებაზე. წინა წლების საგეგმო და ფაქტობრივი მაჩვენებლების, მიმდინარე წლის 11 თვის საბალანსო მონაცემების, უძრავ ნივთზე ფასების მზარდი ტენდენციისა და საპრივატიზებო ქონების რესურსის გათვალისწინებით, ამ კომპონენტში მისაღები შემოსულობის საპროგნოზო მაჩვენებლის არსებითი შემცირება არ არის დასაბუთებული და დამატებით განმარტებას საჭიროებს.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2019 წელს სესხის მომსახურებისა და დაბრუნებისათვის გამოყოფილია 2,501.4 ათასი ლარი, რაც 283.4 ათასი ლარით მეტია 2018 წლის ბიუჯეტით შესაბამისი დანიშნულებით გათვალისწინებულ თანხაზე.

ცხრილი N6. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2018 წლის ბიუჯეტი	2018 წლის 11 თვე	2019 წლის ბიუჯეტი	ზრდა-კლება 2018-2019 წლები	ზრდა-კლება (%)
09 06 01	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	290.0	139.3	261.3	-28.7	-9.9
09 06 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები („აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“)	66.9	46.1	101.0	34.1	50.9
09 08 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხის დაბრუნება	1,339.8	633.2	1339.8		
09 08 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება („აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“)	521.3	7.5	799.3	278.0	53.3
ჯამი:		2,218.0	826.1	2,501.4	283.4	12.7

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კრედიტის სახით გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისება და აუთვისებლობა იწვევს სესხის მომსახურების ხარჯების გაზრდას, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის (commitment fee) დაკისრებას სესხის აუთვისებელ ნაწილზე. მაგალითად, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წელს, თუმცა პროექტის განხორციელება არ დაწყებულა და არც სესხის თანხის ათვისება მომხდარა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა წლებში გაცემულია რეკომენდაციები, თუმცა მდგომარეობა არ გამოსწორებულა და საკითხი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. შედეგად, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე (2,970.0 ათასი ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. 2018 წლის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის

ფარგლებში 2010-2018 წლებში ჯამურად გაწეულია 172.4 ათასი ევროს ხარჯი⁶, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსებიდან თანხები არ მიმართულა. აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმები არარსებობს და სხვადასხვა ეტაპზე ხელისშემშლელი⁷ გარემოებების გადასაჭრელად ქმედითი და დროული ღონისძიებები არ არის გატარებული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და არაეფექტიანი ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ პროექტის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით ხელი შეუწყონ მოზიდული რესურსების დროულ და ეფექტიან გამოყენებას.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, გადასახდელების ოდენობა 324,043.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა და 13.7%-ით მცირდება მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით. შემცირება დაგეგმილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ კომპონენტში 21.5%-ით და „ფინანსური აქტივების ზრდის“ კომპონენტში – 100%-ით, ხოლო გაზრდილია „ხარჯები“ – 22.7%-ით და „ვალდებულების კლება“ – 3.8%-ით, თუმცა 2018 წლის ბოლოს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სავარაუდო მოცულობისა და 2019 წელს შემოსულობების გეგმის მოსალოდნელი გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით, 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების 13.7%-ით შემცირება, ბიუჯეტის პესიმისტურ დაგეგმვაზე მიუთითებს და დამატებით განმარტებებს საჭიროებს.

ცხრილი N7. გადასახდელები ცალკეული კომპონენტის მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის კანონი	2018 წლის ფაქტი 11 თვე	2018 წლის შესრულება (%)	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	2018-2019 წლების ზრდა/კლება (%)
ხარჯები	196,247.2	148,677.0	75.7	240,904.5	22.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	103,195.9	81,585.8	79.0	81,000.1	-21.5

⁶ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს – 30.0 ათასი ევრო, პროცენტის ხარჯს – 3.1 ათასი ევრო, ვალდებულების გადასახადს – 126.8 ათასი ევრო და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას – 12.5 ათასი ევრო, პირგასამტეხლო - 0.031 ევრო.

⁷ ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილის ცვლილება, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების თაღლითური გზით მითვისება და ა.შ.

ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	74,017.6	46,154.8	62.3	0.0	-100
ვალდებულებების კლება	2,060.7	640.7	31.0	2,139.1	3.8
სულ გადასახდელები:	375,521.4	277,058.4	73.7	324,043.7	-13.7

ხარჯები

კანონპროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2019 წლის ხარჯების გეგმა 240,904.5 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 44,657.3 ათასი ლარით მეტია 2018 წლის გეგმურ მაჩვენებელზე.

ცხრილი N8. ხარჯები ცალკეული კომპონენტის მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის კანონი	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	სხვაობა	ზრდა-კლება 2018-2019 წლებში (%)
შრომის ანაზღაურება	37,252.6	36,525.7	-726.9	-1.9
საქონელი და მომსახურება	40,724.7	36,763.5	-3,961.2	-9.7
პროცენტი	356.9	362.3	5.4	1.5
სუბსიდიები	4,014.8	4,186.6	171.8	4.2
გრანტები	82,695.7	63,731.4	-18,964.3	-22.9
სოციალური უზრუნველყოფა	10,503.3	11,562.3	1,059.0	10.0
სხვა ხარჯები	20,699.2	87,772.6	67,073.4	324.0
სულ ხარჯები:	196,247.2	240,904.4	44,657.2	22.7

მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის გეგმას შორის სხვაობა ძირითადად დაკავშირებულია მთავრობის პრიორიტეტების ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტში „საქონელი და მომსახურების“ შემცირების ხარჯზე, გაზრდილია „არაფინანსური აქტივები“, ხოლო „გრანტების“ მუხლით შემცირებულია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება, თუმცა რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, არ არის გათვალისწინებული გასული წლების შესრულების ტენდენციები, კერძოდ, როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, არის რიგი პროგრამები, რომელთა ათვისება მიმდინარე წლის 11 თვეში არ განხორციელებულა ან დაბალია მათი განხორციელების მაჩვენებელი და ამ პირობებში 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით, იმავე პროგრამების დაფინანსება იზრდება, რაც საჭიროებს დასაბუთებას და განმარტებას.

ცხრილი N9. ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი 11 თვე	2018 წლის შესრულება 11 თვე (%)	2019 წლის პროექტი
რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოშენი	518.0	175.2	33.8	450.0
ქალაქშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	2,005.2	204.3	10.1	2,218.1
აჭარის ტერიტ. არსებული მთის კურორტების განვითარება	150.0			500.0
ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	1,700.0	94.2	5.5	1,590.5
შემოქმედებითი ინკუბატორის მხარდაჭერა	60.0	0.5	0.8	40.0
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	2,194.3	362.2	16.5	1,858.0
სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	811.3	181.5	22.3	635.2

2019 წლის ბიუჯეტის შედგენისას მიზანშეწონილია, საფუძვლიანად გაანალიზდეს წინა პერიოდში დაბალი ათვისების და აუთვისებელი პროგრამების 2019 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაზრდილი დაფინანსების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს, დასაგეგმი წლისთვის საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად, დასახული მიზნების შესრულებას.

6. ასიგნებები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად, 2018 წლის საბიუჯეტო პარამეტრებთან შედარებით, ასიგნებები ეზრდებათ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კომისიას – 32.4 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს – 43,093.4 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – 934.1 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს – 1,652.6 ათასი ლარით. ამავე დროს ასიგნებები უმცირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას 79,245.3 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს – 1,578.1 ათასი ლარით, აგრეთვე მცირდება საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები – 16,366.4 ათასი ლარით.

ცხრილი N10. ასიგნებები (ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2018 წლის ბიუჯეტი	2019 წლის ბიუჯეტი	2018-2019 წლების ზრდა/კლება	2018-2019 წლების ზრდა/კლება (%)
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,046.8	5,046.8	0	0
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	636.6	669.0	32.4	5
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები	82,503.7	3,258.4	-79,245.3	-96.1
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	48,287.8	91,381.2	43,093.4	89.2
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	51,578.4	50,000.3	-1,578.1	-3
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	16,828.5	17,762.6	934.1	5.5
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	12,885.2	14,537.8	1,652.6	12.8
09 00	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	157,754.3	141,387.9	-16,366.4	-10.3
სულ:		375,521.3	324,044.0	-51,477.3	13.7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების ასიგნების 96.1%-ით შემცირება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსების 89.2%-ით ზრდა, ძირითადად, გამოწვეულია საქვეუწყებო დაწესებულებების – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლით.